განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ტურიზმის მენეჯმენტი/ Tourism Management**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში / Master of Business Administration / MBA - Tourism Management **მეორე ნაწილი:** ბიზნესის ადმინისტრირების კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში / Business Administration Research Master of Tourism Management
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	როსტომ ბერიძე, პროფესორი - beridze.rostom@bsu.edu.ge პაატა ჩაგანავა, პროფესორი - chaganava.paata@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**პირველი ნაწილი** - 60 ECTS **მეორე ნაწილი** - 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი:** ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი:** ✓ პროგრამის პირველი ნაწილი; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი ნაწილი:** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიონალი, რომელიც: ✓ არის ტურიზმის და ტურიზმის მართვის სფეროში თანამედროვე, ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი მენეჯერი, ეფექტიანი ლიდერი და გუნდის წევრი; ✓ გადაჭრის რთულ მმართველობით პრობლემებს; ✓ თავის გადაწყვეტილებებს აფუძნებს მდგრადობის, საქმიანი ეთიკის პრინციპებზე. **მეორე ნაწილი:** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მკვლევარი, რომელიც: ✓ არის ტურიზმის და ტურიზმის მართვის სფეროში თანამედროვე, ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი პირი;

	✓ გადაჭრის რთულ მმართველობით პრობლემებს; ✓ თავის გადაწყვეტილებებს აფუძნებს კვლევებსა და აკადემიური ეთიკის პრინციპებზე.
სწავლის შედეგები	**პირველი ნაწილი:** ✓ მსჯელობს კრიტიკულად, სიღრმისეულად და სისტემატიზებულად ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის კონცეფციების შესახებ. ✓ განიხილავს ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის თანამედროვე ტენდენციებს, დარგისთვის დამახასიათებელ ბიზნეს-პროცესებს, წარმატებულ და წარუმატებელ შემთხვევებს, მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებს. ✓ გადაჭრის ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემას ორიგინალური, ინოვაციური, თანამედროვე, სტრატეგიული, კომპლექსური გზით. ✓ ეყრდნობა თანამედროვე ტექნოლოგიებს, მდგრადობის, საქმიანი ეთიკის პრინციპებს. ✓ წარუდგენს ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემის პრაქტიკულ გადაჭრასთან დაკავშირებულ დასკვნებს, არგუმენტებს და შედეგებს საქმიან საზოგადოებას. ✓ მართავს დამოუკიდებლად ან გუნდურად, ეფექტიანი გუნდის მეშვეობით, ტურიზმის დარგში მოქმედ ორგანიზაციას ან მის ქვედანაყოფს პასუხისმგებლობით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. ✓ წარმართავს საკუთარი და გუნდის წევრების სწავლისა და პროფესიული განვითარების პროცესს. **მეორე ნაწილი:** ✓ მსჯელობს კრიტიკულად, სიღრმისეულად და სისტემატიზებულად ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის კონცეფციების შესახებ. ✓ განიხილავს ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის თანამედროვე ტენდენციებს, დარგისთვის დამახასიათებელ ბიზნეს-პროცესებს, წარმატებულ და წარუმატებელ შემთხვევებს, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების უახლეს მიღწევებს, მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებს. ✓ გადაჭრის ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემას ორიგინალური, ინოვაციური, თანამედროვე, სტრატეგიული, კომპლექსური, კვლევაზე დაფუძნებული გზით. ✓ იკვლევს ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემას თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ✓ ეყრდნობა თანამედროვე ტექნოლოგიებს და აკადემიური ეთიკის პრინციპებს. ✓ წარუდგენს ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემის კვლევასთან დაკავშირებულ დასკვნებს, არგუმენტებს და შედეგებს აკადემიურ საზოგადოებას.

	✓ მართავს დამოუკიდებლად ან გუნდურად, ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემის კვლევით სამუშაოებს. ✓ წარმართავს საკუთარი და კვლევითი გუნდის წევრების სწავლისა და აკადემიური განვითარების პროცესს.